ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების
საქალაქო სამსახური

KA980111213147616

№25/294081 **10** / ნოემბერი / **2016** წ.

შპს არჩევანი.

საქართველო, ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის
რაიონი, გლდანი, III მ/რ, სავაჭრო ცენტრი

თქვენი 2016 წლის 26 ოქტომბრის #385756/07 წერილის პასუხად, რომლითაც ითხოვთ შპს „არჩევანი"ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, გობრონიძის ქ. #7 საკ/კოდ01.11.13.002.211) მშენებლობის განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვის ნებართვას, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ჭრის ნებართვის გაცემა დასაშვებია: სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში, ან თუ არსებული მწვანე ნარგავები დაავადებულია, ხოლო ასეთი დაავადების არსებობა და მწვანე ნარგავების განკურნების შეუძლებლობა დადასტურებულია შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.

სამსახურმა შეიწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომლის თანახმად სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ამ ეტაპზე, შპს „არჩევანი"ს კუთვნილ ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვა არ არის გაცემული, წარმოდგენილი ხე-მცენარეების აღრიცხვის უწყისის შესაბამისად (კვლევა ჩატარებულია ააიპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი"ს მიერ 13.05.2016) ტერიტორიაზე არსებული საშუალო და საღი ხეების მოჭრა სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. რაც შეეხება 1 (ერთი) ძირ ხმელ წაქცეულ ცაცხვს, რომლის აღდგენითი ღირებულება შეადგენს 256 (ორასორმოცდათექვსმეტი) ლარს, მესაკუთრე ვალდებულია გადაიხადოს აღდგენითი ღირებულება და ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურში წარმოადგინოს გადახდის ქვითარი (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22), რომლის შემდგომაც გაიცემა მოჭრის შესაბამისი ნებართვა.

ხილ-კენკროვანი მცენარეების მოჭრა/გადარგვა (მათ შორის ბროწეული, ლეღვი, ტყემალი, ჭერამი, ქლიავი) კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ამავე კანონის მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ წერილობით ნებართვას არ საჭიროებს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი"-ს მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიიდან მიმდებარედ გადაირგოს დასკვნის შესაბამისად #8; #9 ბიჭვინთის ფიჭვი და #25; #26 კვიპაროსი დიამეტრებით 15სმ, 13სმ, 12სმ, 15სმ და #12 კაკალი დიამეტრით 18სმ, #17 თუთა დიამეტრით 8სმ, #28; #29; #31; #32; #33; #35; #36; #37; #40; #41; #42; #43; #44; #45; #46 აღმოსავლური ბიოტას ბუჩქი დიამეტრებით 0.5-2.0სმ, #48; #49 სამნაკვეთა გრაკლა დიამეტრით 0.5-1.0სმ, #27; #30; #34; #38; #39; #47 ვარდი დიამეტრით 0.5-1.0სმ.

სამუშაოები უნდა განხორციელდეს აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით, თქვენი რესურსით ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით (საკონტაქტო 577151571).

ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი

ნინო სულხანიშვილი